N 68 07/04/2017

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 6

დ. ჩოხატაური *31 მარტი, 2017 წელი*

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

ვლადიმერ სიხარულიძე, ქეთევან სიხარულიძე, გოჩა სეხნიაშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, რამაზი უჯმაჯურიძე, ოთარი სოროზანიშვილი, უშანგი ართმელაძე, დათო ვაჩეიშვილი, ალეკო კვინტრაძე, მალხაზ ჩხიკვაძე, დავით ტრაპაიძე, მარინე ბერაძე,გოჩა თოდრია, კობა კალანდაძე, მაია პაიჭაძე, მაია გიორგაძე, ირაკლი ახობაძე, მანანა მინდაძე, მამია ბარამიძე, დიმიტრი კორიფაძე, მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გოდერძი გოგიშვილი,რომანი ჯულაყიძე ,არჩილ სიხარულიძე,კლოდი მდინარაძე.

არ ესწრებოდნენ: აკაკი ყაჭეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე შარაშიძე, დავით გუდავაძე,ზვიადი მამალაძე, გია გვენეტაძე, შალვა ჩანტლაძე,

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

მაია გოგოლაძე- გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.

ვლადიმერ გოგიბერიძე- მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ტარიელ ბერაძე- ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში.

სხდომას ესწრებოდა გაზეთ ,,გურია ნიუსის“ კორესპონდენტი- ნატო გოგელია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.
2. ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ.
3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.
4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .
5. მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
6. მერების შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
7. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე.
9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, ქეთევან სიხარულიძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

5. მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი:ტარიელ ბერაძე

6. მერების შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

7. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: ირაკლი ახობაძემ, გოჩა ჯიქიამ, მალხაზ ჩხიკვაძემ.

მიღებულია განკარგულება: ცნობად იქნას მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.

II საკითხი: ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> გოჩა ჯიქიამ, კობა კალანდაძემ, მაია გიორგაძემ.

მიღებულია განკარგულება: ცნობად იქნას მიღებული ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ.

III საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ, გოჩა ჯიქიამ,

ზაალ მამალაძემ , რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის №588 განკარგულების, 2017 წლის 24 მარტის ,,აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში შესატანი ცვლილების გამო, კენჭი ვუყაროთ ბიუჯეტში გამოყოფილ თანხის დამატებას.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი)

<u>აზრი გამოთქვა:</u>

მამია ბარამიძემ (ენმ)- აღნიშნეთ, რომ სოფელ ზომლეთის ცენტრში არემონტებთ შენობას და იქ იხსნება ახალგაზრდული ცენტრი. მაინტერესებს, რას მოიცავს იდეაში ახალგაზრდული ცენტრის გახსნა, როცა 2016 წლის ბიუჯეტის ბოლო ცვლილებაში,

ახალგაზრდული პროგრამებიდან 6,0 ათასი ლარი ჩვენ მოვხსენით და გადავიტანეთ სხვა მუხლში. გეკითხებით, მაშინ რატომ ვერ დაინახეთ ამის აუცილებლობა?

მაია გოგოლაძე- ახალგაზრდულ ცენტრთან ერთად იქ იხსნება საბავშვო ბაღი და ბიბლიოთეკა. ესენი ერთად განთავსდება ამ შენობაში.

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ 2017 წლის 24 იანვარს საკრებულოში შემოვიდა პროექტი ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, სადაც წერთ, რომ ვალდებულება არ გვქონდა. პრესის მეშვეობით გავიგე, რომ 30,0 ათასი ლარი გვქონია ვალი მუნიციპალიტეტს. დღეს კი ირკვევა, რომ ეს თანხა 81,0 ათასი ლარია. გთხოვთ, აგვიხსენით რატომ გვაქვს ეს ვალდებულება და რისთვის.

მაია გოგოლაძე- ეს ვალდებულებები არის წინა წლიდან დარჩენილი. წლის ბოლოს დავაზუსტეთ ბიუჯეტი, სადაც მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯებში, შრომის ანაზღაურებისთვის გამოიყო 65,0 ათასი ლარი. 22,0 ათასი ლარი იყო კიდევ გამგეობის სხვა ხარჯიდან. ახლა ვალდებულების კლების მუხლში ჩავსვით ჩვენ ეს თანხები. გარდა ამისა, მოხდება მუხლობრივი ცვლილება მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯებში და 27 900 ლარი მიიმართება ისევ "საქონელი და მომსახურების" მუხლში.

ირაკლი ახობაძე- ეს შენიშვნა ბიუროს სხდომაზეც დავაფიქსირე და ახლაც ვსვამ კითხვას: რატომ მცირდება ბუნებრივი რესურსებიდან მოსაკრებლის შემცირება, როცა ჩვენ ზრდას დავუჭირეთ მხარი. ხარჯები უნდა შემცირდეს და ამ გაჭირვებული ბიუჯეტის ფონზე ვზრდით თანხას "საქონლის და მომსახურების" მუხლში 44,0 ათასი ლარით. ამაში რაიმე ლოგიკა არის?! რატომ ვამცირებთ სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს, სად არის მიზნობრივი თანხები? ეს საქმის კეთების ბიუჯეტი არ არის და მე მას მხარს არ დავუჭერ.

მაია გოგოლაძე- შემოსავლის შემთხვევაში როცა უკვე შემოსულია შემოსავალი, მაშინ შეგვიძლია მივმართოთ ეს თანხა არაფინანსურ აქტივებში. ამ ეტაპისთვის მიმართულებაა ასეთი, რომ უნდა შევამციროთ. ხარჯვა ხდება საკასო მეთოდით და ეს ვალდებულებები გასასტუმრებელია. ვალდებულება სამსახურს უკვე აღებული აქვს და ეს თანხა გასასტუმრებელია.

ირაკლი ახობაძე- ჩემი მხარის არ დაჭერა არ შეცვლის არაფერს და მაინც მიიღებს საკრებულო უმრავლესობით დადგენილებაში ცვლილებას, მაგრამ გთხოვთ, მე-14 მუხლში ,,პრიორიტეტები და პროგრამები“, სამედიცინო მომსახურების

თანადაფინანსებაში, გაწერილი გაქვთ თანხები, რომლის დაჯამებით იგი ცხრილში მოცემულ თანხას არ ედრება. გთხოვთ, დააჯამოთ და დაამთხვიოთ თანხები ერთმანეთს. მე მხარს წარმოდგენილ ბიუჯეტს არ ვუჭერ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი _ 2 (ი.ახობაძე, დ.კორიფაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

IV საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> გოჩა ჯიქიამ, ალეკო კვინტრაძემ, დათო ვაჩეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

V საკითხი: მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს:

მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი:ტარიელ ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით ტყეშელიაძემ, დათო ვაჩეიშვილმა, ქეთევან სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი)

მიღებულია დადგენილება: მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის

გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

VI საკითხი: მერების შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მოისმინეს:

მერების შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: ოთარი სოროზანიშვილმა, რამაზი უჯმაჯურიძემ, მალხაზ ჩხიკვაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: მერების შეთანხმების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

VII საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: მალხაზ ჩხიკვაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ, მანანა მინდაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VIII საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

მაია პაიჭაძემ მომხსენებელს მიმართა, რომ განმარტება გაეკეთებინა ტრანსპორტირების პროექტთან დაკავშირებით.

ვლადიმერ გოგიბერიძე-მოგცემთ განმარტებას, რომ განათლების მხარდამჭერ პროგრამაში გამოყოფილია 60, 0 ათასი ლარი.აქედან, ბავშვებისთვის ტრანსპორტის უზრუნველყოფა რომ მომხდარიყო, 31,0 ათას ლარამდე იყო ტრანსპორტირების თანხა სხვადასხვა წრეებისთვის. შემდეგ, ბრძანებით მივიღეთ ამ თანხის განკარგვის უფლება, დაიდო ტენდერზე და ტენდერი ჩატარდა აუქციონის გარეშე. შესყიდვა განხორციელდა დღგ-ს გარეშე, დღგ-თ არის ეს თანხა 31,0 ათასი ლარი, ხოლო დღგ-ს გარეშე არის 26,0 ათასი ლარი. ამიტომ შესრულდა 31,0 ათასი ლარის სამუშაო 26,0 ათას ლარად. დღგ-ს თანხა დარჩა ეკონომიის სახით ბიუჯეტში. ეს თანხა დარჩა იგივე მუხლში. თუ შემოვა რაიმე პროექტი განათლების კუთხით, იმ პროექტს მოხმარდება ეს თანხა.

ირაკლი ახობაძე- ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელებული შესყიდვებიდან დარჩა თუ არა რაიმე ნაშთი, რომელიც გადმოვიდა ამ წელს? გთხოვთ, დამიზუსტოთ და მომაწოდოთ.

ვლადიმერ გოგიბერიძე- რაც გვქონდა ხელშეკრულებით ვალდებულება აღებული, ყველაფერი შესრულებულია. ნაშთში რას გულისხმობთ თქვენ, არ ვიცი. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ირიცხება ფული.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: სხდომის მიმდინარეობისას, 2016 წელში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშკირებით, გამოთქმული კითხვების დაზუსტების მიზნით საკითხის განხილვა გაგრძელდეს მომდევნო საკრებულოს სხდომაზე.

IX საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია გიორგაძემ, მამია ბარამიძემ, გოჩა ჯიქიამ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა